

REFLECTION-RECEPTIONS OF AMERICA AND SOVIET UNION IN THE NOVEL “THE RETURN OF ODYSSEUS”

ამერიკისა და საბჭოთა კავშირის რეფლექსია-რეცეფციები მოთხრობაში
„ოდისეუსის დაბრუნება“

Giorgi Khorbaladze

PhD in Philology, Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., #53, 1400, Georgia,
+ 995577955584, g.khorbaladze@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0003-0453-8521>

Abstract. In Nodar Dumbadze’s work, there exists a unique and relatively lesser-known narrative for the general public, titled “The Return of Odysseus.” This piece is a remarkable example of artistic-documentary travel prose. We emphasize both the work and its genre, noting that the foundation of the narrative is grounded in real events. Dumbadze’s extraordinary writing talent transforms this reality into an intricate tapestry of artistic expression, crafting it into a compelling story while maintaining a clear sense of documentary authenticity.

A writer living in the Soviet era, alongside fellow Soviet authors, embarks on a journey to America, which, given the context of the time, can be seen as an encounter with forbidden fruit. Naturally, this visit carried both a declared and an undeclared mission. The declared mission aimed to foster cultural relations and cooperation between the Soviet Union and America. In contrast, the undeclared mission required the writers to convey in their final summaries a sense of pathos asserting that nothing could compare to the Soviet Union, portraying America as significantly overshadowed in all respects.

Naturally, Nodar Dumbadze could not openly express a favorable opinion about the rival country of the Soviet Union; thus, the narrative had to lean towards a superficial advantage for the Soviet side. This external portrayal served as a kind of façade behind which he sought to convey his true feelings and thoughts. It was essential that these genuine emotions form the core of the narrative’s superficial embellishments, articulated through subtle nuances and details. Achieving this balance is technically and artistically challenging, yet, as previously noted, great writers are capable of doing so successfully. “The Return of Odysseus” stands as a clear testament to this skill.

Keywords: Nodar Dumbadze, realistic prose, Sachota Union, America.

გიორგი ხორბალაძე

ფილოლოგიის დოქტორი,

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,

ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. #53, 1400, საქართველო,

+ 995577955584, g.khorbaladze@gmail.com,

<https://orcid.org/0000-0003-0453-8521>

აბსტრაქტი. ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში ერთობ თავისებური, საკმაოდ განსხვავებული და შედარებით ნაკლებადცნობილი მოთხრობაა ფართო საზოგადოებისათვის მხატვრულ-დოკუმენტური სამოგზაურო პროზის ნიმუში „ოდისეოსის დაბრუნება“. ნაწარმოებს, როგორც ჟანრობრივი სახელდებისასაც გავუსვით ხაზი, რეალური ამბები უდევს საფუძვლად, რაც ნოდარ დუმბაძის მწერლურ ნიჭიერებას მხატვრულ ქარგაში მოუქცევია და საინტერესო მოთხრობად გადაუქცევია, ოღონდ - დოკუმენტურობის აშკარა დაცვით.

საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე მწერალი, სხვა საბჭოთა მწერლებთან ერთად, მიდის ამერიკის სანახავად, რაც, მაშინდელი რეალობის გათვალისწინებით, ერთგვარად, აღიქმება როგორც აკრძალული ხილის დაგემოვნება და, ბუნებრივია, ვიზიტს ჰქონდა დეკლარირებული და არადეკლარირებული მისიაც. დეკლარირებული მისია გახლდათ ის, რომ კულტურული ურთიერთობა და თანამშრომლობა შემდგარიყო საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის, არადეკლარირებული კი - ის, რომ მწერლებს, საბოლოო შეჯამებისას, საკუთარ შემოქმედებაში უნდა გამოეხატათ პათოსი, რომ საბჭოთა კავშირს ვერაფერი შეედრება და რომ ამერიკა, მასთან შედარებით, სრულიად დაჩრდილული გამოიყურება ყველა ასპექტში. რა თქმა უნდა, ამის ასე იმპერატიულად დაწერას არ ექნებოდა ეფექტი და მეტიც, გააჩენდა მიკერძოებულობის განცდას, ამიტომ, ამგვარი პათოსი უნდა გაშლილიყო შემოქმედებითად. ეს ლოგიკური დასკვნა გახლავთ და, ბუნებრივია, დირექტივა ჩვენ არ მოგვისმენია, თუმცა საყოველთაოდ ცნობილია რა, ინფორმაცია იმდროინდელ საბჭოთა მიდგომებზე, გასაგებია, რომ ამერიკაში წასვლა, მით უფრო, მწერლების ჯგუფის, დეტალურად დაიგეგმებოდა და გაკონტროლდებოდა იმპერიის უმაღლეს ემელონებში; ეს ყოველივე გვაძლევს უფლებას დარწმუნებულები ვიყოთ ჩვენი მოსაზრების სისწორეში. ამ ვალდებულებისგან თავის დაღწევა ურთულესი ან სულაც შეუძლებელი იქნებოდა, თუმცა, ნოდარ დუმბაძე სხვა ფენომენია, ის გამორჩეული ხელოვანია და იცის, როგორ უნდა იმოქმედოს, რათა ობიექტურიც დარჩეს, დაკვეთასაც „უპასუხოს“ და მაინც, არავითარ შემთხვევაში, მკითხველი არ მოატყუოს.

საკვანძო სიტყვები: ნოდარ დუმბაძე, რეალისტური პროზა, საბჭოთა კავშირი, ამერიკა.

შესავალი. ჩვენ წავიკითხავს და მოგვისმენია ზედაპირული შეფასებანი, სადაც ზოგიერთი მოსაზრება იხრება იქით, რომ „ოდისეოსის დაბრუნებაში“ მწერალი ამხელს უარყოფით მხარეებს ამერიკის შეერთებული შტატებისას და გამოხატავს ანტიპათიას ამერიკის მიმართ, რაც ზედაპირული შეფასებაც არის, როგორც შევნიშნეთ, და ზედაპირული წაკითხვის შედეგიც. თუ რატომ ვთვლით ასე - ამ საკითხზე გვექნება მსჯელობა წინამდებარე ნარკვევში. ბუნებრივია, ნოდარ დუმბაძე ვერ შეძლებდა აშკარად გამოეხატა პოზიტიური განწყობა საბჭოთა კავშირის კონკურენტი ქვეყნის მიმართ, ამიტომ, უპირატესობის პინა უცილობლად საბჭოეთის მხარეს უნდა დაეწია, თუმცა ეს უნდა

ყოფილიყო გარეგნული, ერთგვარი ზედაპირული მორთულობა, რომლის მიღმა, რეალურად, ის სიმართლე უნდა დაეწერა, რაც იგრძნო და იფიქრა, და სწორედ წრფელი განცდები უნდა ყოფილიყო გარეგნული მორთულობის მთავარი შიგთავსი, გამოხატული ნიუანსებსა და დეტალებში, რაც ურთულესი შესასრულებელია ტექნიკური და მხატვრული თვალსაზრისით, მაგრამ განსაკუთრებულ და დიდ მწერლებს რომ ესეც წარმატებით გამოსდით, ზემოთაც ვიხილეთ და „ოდისეისის დაბრუნება“ ამის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა.

მეთოდები. კვლევის პროცესში გამოყენებული გვაქვს დაკვირვებისა და შედარებითი ანალიზის მეთოდი, ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, კომპარატივისტული მეთოდი, ასევე, ტექსტის ინტერპრეტაციის დროს გათვალისწინებული გვაქვს კომპლექსური ლიტერატურათმცოდნეობითი მიდგომა.

შედეგები და მსჯელობა. შევუდგეთ მოთხრობის მიმოხილვას და ვნახოთ, სად და როგორ ვლინდება შენიღბული განწყობანი. გარდა იმისა, რომ ამერიკაში წასვლას ბავშვობის დროიდან გამოყოლილ ოცნებასთან, „დიდ-კაცობასთან“ და ოცნების ახდენასთან აკავშირებს დასაწყისში ავტორი (ხოლო ეს ყოველივე ხაზგასმია, რომ ამერიკა წარმატებების და ოცნებების ქვეყანად არის მიჩნეული მსოფლიო საზოგადოებაში), დასაწყისშივე წერს ნოდარ დუმბაძე: „თუკი რამეს აღმერთებენ და თაყვანს სცემენ ამერიკელები, ეს არის დრო. დრო გახლავთ ყოველივე იმის სათავე, რაც მე მომეწონა და არ მომეწონა ამ ქვეყანაში“. ამ წინადადებაში, მწერალი აღნიშნავს რაოდენ მნიშვნელოვანი დამოკიდებულება აქვთ ამერიკელებს დროსთან მიმართებით, რაც პოზიტიური შეფასებაა და ეს კარგად იცის მწერალმა, ამიტომ პოზიტიურ განწყობას იქვე აბალანსებს, რომ მას ეს ამავედროულად „არ მოეწონა“, მიუხედავად იმისა, რომ მოეწონა. რა თქმა უნდა, ორაზროვანი დამოკიდებულება არ არის შემთხვევითი და, როგორც ნოდარ დუმბაძეს სჩვევია ასეთ შემთხვევაში, ახდენს ერთგვარ გადანაწილებას, რითიც ამბობს ფაქტს, აკეთებს ირიბ შეფასებას და საბოლოოდ ზუსტად იცის, რომ აქ მეორეხარისხოვანია პიროვნული განწყობა - მომწონს თუ არა მე, რომ ვიღაც პუნქტუალურია. მთავარი ის არის, რომ მე ვერ მომედავები და, ამავედროულად, შენ იცი, რომ ის ვინც, არ მომწონს, დიახაც, რომ პუნქტუალური გახლავს.

ვცადოთ ამ ხერხის გაანალიზება და დაახლოებით მსგავსი მაგალითი შევიმუშაოთ (ჩვენი აზრით, ძალიან ახლო მაგალითი იქნება, რომ დავწეროთ) - ამერიკელები ძალიან კეთილი ხალხია, ოღონდ მე დიდად არ მომწონს, რომ ისინი კეთილი ხალხია. აქ ჩვენ რა შეფასებას ვაკეთებთ, ინფორმატიული ნაწილი სწორედ ის არის, მეორე ნაწილი უკვე სუბიექტური განწყობაა და სწორედ პირველი ნაწილი ირეკლავს მთავარ სათქმელს.

ამასთანავე, დროსთან მიმართებით მოწონებისა და ამავედროული არ მოწონების კიდეც ერთი მიზეზი აშკარავდება მოთხრობაში მოგვიანებით და იგი, საბჭოთა კავშირის დროში ჩამორჩენილობის პრობლემის სახით იდენტიფიცირდება.

პუნქტუალურობა რომ საყოველთაო და, ამდენად, სისტემური მიდგომაა და არა მხოლოდ ინდივიდუალური, ეს გამოჩნდა, ახლა ვნახოთ, რა განსხვავებაა საბჭოელი და ამერიკელი მწერლების ინდივიდუალურ, პიროვნულ თავისუფლებას შორის. ნოდარ დუმბაძე აღნიშნავს: „ამერიკელი მწერლები საკუთარი ლიტერატურის ნაკლზე მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე ჩვენსაზე. ლაპარაკობენ მკაცრად და მოურიდებლად. გამოუცდელი კაცისთვის ამერიკული სიტყვის თავისუფლებაზე ლაპარაკი ძალიან ძნელია. იგი ძალიან ჰგავს ფუმფუმს სამოსში გახვეულ შუა საუკუნეების ესპანელ ქალბატონს, რომელსაც ვიდრე გააშიშვლებ, ცხრაპირი ქვედაწელი უნდა გახადო. ჩვენ ძალიან გაგვიჭირდა ეს, გაგვიჭირდა კი არა, უბრალოდ, ვერ მოვახერხეთ. სამაგიეროდ, თვითონ ქალბატონმა ჯოის კეროულ

ოუთსმა მოახერხა. მან ხელის ერთი მოხდენილი ჩამოსმით ცხრავე კაბა ერთად გახადა ამ მშვენიერ ასულს“.

სიტყვის თავისუფლების აღქმა და პრაქტიკული შემეცნება რომ გაუჭირდათ საბჭოეთიდან მივლინებულ მწერლებს, ეს ნათლად თქვა ავტორმა და ისიც გარკვევით გამოხატა, რომ არათუ კრიტიკა და წინააღმდეგობრივი დისკუსიაა მისაღები თავისუფალ სამყაროში, უფრო მეტიც, თვითკრიტიკა აქტიურად გამოიყენება როგორც განვითარების ერთ-ერთი შესაძლებლობათაგანი, საბჭოთა მწერლობაში კი დოგმატური ნორმების გათვალისწინებით, თავისუფალი არც კრიტიკაა და არც თვითკრიტიკა, რადგან ნებისმიერი ტექსტი მისაღებია და უალტერნატივო - რაც მისაღებია რეჟიმისათვის. უდავოა, რომ დამოწმებულ ციტატაში ეს ყოველივე საკმარისად გასაგებად გამოუხატავს მწერალს, თუმცა, იქვე, საკუთარი შედარების მსგავსად (რომელიც სულაც არ გვგონია იუმორისტული გადახვევა), თავადაც „ფუშფუშა სამოსში გახვეული ქალივით“ შეუფუთავს, რომ მცირე უკანდასახევი ბილიკი გაეჭრა ყოველი შემთხვევისათვის.

იმავე პათოსს გამოხატავს შემდეგი ციტატაც, აქცენტირებს რა პიროვნული თავისუფლებისა და განსხვავებული მოსაზრების მოსმენის კულტურის დადებით მხარეებს: „ბოლოს მივხვდი: ამერიკელები ტაშს უკრავენ არა მხოლოდ იმას, რასაც ეთანხმებიან, არამედ პატივს სცემენ ადამიანის დამოუკიდებელ, ორიგინალურ აზრს და გულწრფელობას“.

საკუთარ ტექსტს ზოგჯერ განგებ აბუნდოვანებს ავტორი, სრულიად გააზრებული აქვს ყოველი ნიუანსი და ყოველი ბუნდოვანებაც შეგნებულად შემოუტანია. მოხერხებული იუმორით, მწერალი ამ ბუნდოვანებას გატეხილ სათვალეს გადააბრალვებს, სინამდვილეში კი, უმნიშვნელოვანეს მინიშნებას იძლევა, თავადვე მიგვითითებს რა გარკვეული ორაზროვნების მიზანმიმართულობაზე: „ჩვენს მეგზურსა და თარჯიმანს მაიკლს ვუთხარი: - მაიკლ, იმ შენს სახელმწიფო დეპარტამენტს გადაეცი, ისრაელს რომ ეხმარება და ამდენ ფულს წყალში ყრის, ურჩევნია სათვალე გამიკეთოს, თორემ მაინცდამაინც დიდი წარმოდგენისა არასდროს ვყოფილვარ ამერიკაზე და ცალი თვალით დანახული რაღა იქნება? - გულით იცინა მაიკლმა, მაგრამ სათვალეს ამით არაფერი ეშველა.“

ასე რომ, არ გაგიკვირდეთ, თუ ჩემი წერილი ცოტა ბუნდოვანი და დროიდან ამოვარდნილი მოგეჩვენოთ“. საინტერესოდ ახსენებს მწერალი სიტყვათშეთანხმებას „დროიდან ამოვარდნილი“, რასაც უთუოდ აქვს მნიშვნელობა. იგი დარწმუნებულია, რომ ზოგიერთი ტექნოლოგიური მიღწევა, რომელსაც ხედავს ამერიკაში, საყოველთაოდ გამოყენებადი გახდება მომავალში, მიუხედავად იმისა, რომ იმ ეტაპზე, საბჭოთა ადამიანისთვის ერთგვარ საოცრებებადაც კი აღიქმება, ამდენად, თვლის, რომ ამერიკა განვითარებით დროში უსწრებს საბჭოთა კავშირს.

გავიხსენოთ რამდენიმე ეპიზოდი: „თურმე ის გამყიდველი გოგონა ახალბედა ყოფილა და დავიწყებია ჯინსის შარვალზე მოეხსნა პლასტმასის ღილაკი, რომელიც გასვლისას კარებში ჩასმულ ფოტორელესთან შეხებისას საგანგაშო ხმას გამოსცემს, დაახლოებით ასეთი შინაარსისას: - ფრთხილად, ქურდია!“ თანამედროვე მკითხველისთვის, დღეს იქნებ საოცარი ის უფრო იყოს, რა იყო აღსანიშნავი ამ ციტატით მოთხრობილ ამბავში, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რამდენი ათეული წლის შემდეგ დაინერგა მსგავსი კონტროლის მექანიზმი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, მივხვდებით, რომ საბჭოთა სისტემის ჩაკეტილი წრე უზარმაზარ სამუხრუჭე სისტემას წარმოადგენდა პროგრესისკენ სავალ გზაზე.

ვნახოთ სხვა ციტატაც, სადაც პათოსიც და მოცემულობაც კვლავ ჩვენი, ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობის იდენტურია: „არ არსებობს საბჭოთა კავშირში ცოტა თუ ბევრად ცნობილი მწერალი, რომლის წიგნიც აქ არ მოიძებნებოდეს. თქვენ წარმოიდგინეთ, ბიბლიოთეკაში ჩემი 16 დასახელების წიგნიც კი აღმოჩნდა.“

კომპიუტერი, რომელიც ბიბლიოთეკაში დგას, ათასნაირ შეკითხვაზე იძლევა პასუხს. ყველამ ჰკითხა თავისი წიგნების შესახებ“. ანუ, იგივე ვითარებაა, კომპიუტერიზაციის პროცესთან მიმართებით, რომელიც ასევე, რამდენიმე ათეული წლის შემდგომი მოვლენაა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის.

არც აგრონომიული მიმართულებით ბრწყინავდა საბჭოთა კავშირი, როგორც მწერალმა იხილა საკუთარი თვალით; მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობები მასობრივად „გეგმის გადაჭარბებით“ ამყობდნენ, მაინც ჩამორჩენილად გამოიყურებიან ნოდარ დუმბაძის მონათხრობის ფონზე: „ქართული ირონიული ანდაზა, „დედაბერმა იანვარში მარწყვი ინატრაო“, აქ არ გამოდგება, რადგან ნებისმიერ დედაბერსაც და ახალგაზრდასაც შეუძლია ინატროს იანვარში მარწყვიც, ნესვიც, საზამთროც, ბანანიც, ბატატიც, ბალიც და თუ ფული აქვს, ნატვრის ასრულებაზე ადვილი არაფერი არ არის“.

დღევანდელი გადასახედიდან განსაკუთრებით უცნაურია, თუ როგორ აღწერს მწერალი უბრალო კალკულატორს და, ამასთანავე, უჩვენებს - სად არის ჩარჩენილი განვითარების ვერტიკალზე საბჭოთა იმპერია, რომელსაც მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების მიწურულს კალკულატორიც კი არ აქვს, კომპიუტერზე რომ აღარაფერი ვთქვათ: „ამერიკელები დიდად არიან შეშფოთებულნი სკოლაში მათემატიკის, მათემატიკის კი არა, ელემენტარული არითმეტიკის სწავლებით. საქმე ისაა რომ, არც ერთი ბავშვი აღარ სწავლობს არც მათემატიკას, არც გამრავლების ტაბულას, არც გაყოფას, არც პროცენტის გამოანგარიშებას, არც კვადრატული ფესვის ამოყვანას. ყველა ამ პროცესს პატარა ღილაკზე თითის ერთი შეხებით ასრულებენ ელექტრო კომპიუტერები, გამომთვლელი მანქანები, რომლებითაც სავსეა ყველა მაღაზია, ღირს ძალიან იაფი და ყველა ამერიკელ ბავშვს ასანთის კოლოფივით უდევს ჯიბეში“.

არქიტექტურული საოცრებებიც უდიდეს გაოცებას იწვევს და განაცდევინებს მწერალს ჩაკეტილი სივრცის განუვითარებლობის პრობლემას, იგი არ წერს ყველაფერზე, რაც განსაკუთრებით მოეწონა, ყველაფრის აღნიშვნას ერთი წიგნი არ ეყოფოდა, ბუნებრივია, ამიტომ წერს მხოლოდ იმაზე, რამაც მას განსაკუთრებული აღფრთოვანება მოჰგვარა, ამდენად, ადვილი წარმოსადგენია დაწერილს მიღმა ნაგულისხმევიც: „ამერიკაში კიდევ ერთი არქიტექტურული საოცრება ვნახე. ეს საოცრება ლოს-ანჯელესში, არქიტექტორ ჯონ პორტმანის მიერ აგებული, დაკიდებულ ლიფტებიანი სასტუმრო „ჰოლიდეი ინი“ გახლავთ. მისი ფოიე **ამწვანებულ წალკოტსა და მოლივლივე ცისფერ ტბას წარმოადგენს** (ხაზი ჩვენია - გ.ხ.), წყალში წელამდე მდგარი ოთხი სხვადასხვა ფერის ლიფტი ისე ამოსრიალდება ხოლმე წყლიდან, როგორც ტორპედო და თავბრუდამხვევი სისწრაფით მიექანება სადღაც ვარსკვლავებისკენ. შუშის ლიფტიდან ყველაფერი ჩანს - ქალაქიც, ფოიეც, სართულებიც და ვარსკვლავებითა თუ მზით გაჩირაღდებული ცაც.

...რითი უნდა გავეკვირვებინე ამ ცათამბჯენებს, - რომ არ იქცევიან, იმით? პირიქით, ცათამბჯენები მე ამერიკის ერთ-ერთ ტრაგედიად მომეჩვენა, როდესაც ნიუ-იორკში უმზეოდ და ჩაბნელებულ ცათამბჯენთა სილუეტებში უპაეროდ სულისმდაფავი, ჭლექიანი მცენარეების საცოდაობა ვნახე“. მიუხედავად ბოლო, შემაჯამებელი შეფასებისა, სრულიად აშკარაა, რომ ცათამბჯენებს გაუკვირვებია მწერალი, მას გულწრფელი გაოცებით აქვს აღწერილი არქიტექტურული განვითარების ამერიკული დონე, და ბოლოს, ამ აშკარად გამოხატული განწყობის გასაქარწყლებლად, „ჭლექიან მცენარეთა საცოდაობა“ თითიდან გამოწოვილი მიზეზივით მოუყვანია, თუმცა ეს შეჯამება ზემოთ აღწერილი მხატვრულ-ესთეტიური დახვეწილობის ფონზე, რომლის მიხედვითაც სასტუმროს ფოიეს „ამწვანებულ წალკოტს“ ადარებს, აშკარად კონტექსტიდან ამოვარდნილად გამოიყურება, ჩვენ კი, მწერლის შესაძლებლობების გათვალისწინებით, აბსოლუტურად დარწმუნებული ვართ, რომ ამდაგვარი „აცდენა“ აღწერის პათოსსა და შეფასებას შორის ტექსტისათვის საჭირო და გააზრებული მოცემულობაა და არა საკუთარი განწყობის ლოგიკურად განგრძობადი დასრულება.

ნოდარ დუმბაძე, ასევე, იხსენებს ვირტუალურ მოგზაურობას მარსზე და აღნიშნავს: „მსგავსი სილამაზე ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს. დედამიწა, როგორც ვეებერთელა ზურმუხტის თვალი, ათასფერადი შარავანდედით სხივმოსილი, მშვენიერი და მშობლიური, საოცარი სისწრაფით გვიახლოვდებოდა“.

ამ შემთხვევაშიც იმავე ვითარებასთან გვაქვს საქმე, რაზეც ზემოთ ვამახვილებდით ყურადღებას, ოცდამეერთე საუკუნის უკანასკნელი წლებიდან, ვირტუალური რეალობის რეალისტური ჩვენების ტექნოლოგიები, არავითარ საოცრებას აღარ წარმოადგენს ჩვენში, მაგრამ მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში, რომელ პერიოდზეც ნაწარმოებშია საუბარი, რა თქმა უნდა, „მარსზე მოგზაურობა“ განვითარების სულ სხვა საფეხურზე მითითების მინიშნებას გულისხმობდა.

ვნახოთ სხვა, შედარებით არაერთმნიშვნელოვანი შეფასებებიც ამერიკის ცხოვრებისა და განვითარებისა: „ბროდვეიზე სამჯერ ვიყავი, იგი ღირს იმ აღტაცებად, გაოცებად და ლანძღვად, რაც მის გარშემო მოგვისმენია. აქ იყრის თავს ყველაფერი უმაღლესი რანგისა - ხელოვნებიდან დაწყებული პროსტიტუციით დამთავრებული. საღამოს 8 საათიდან ღამის 3-4 საათამდე ბროდვეი დუღს, მღერის, იცინის, როკავს და მიცურავს აღმა-დაღმა. ათასფერადი რეკლამების ნისლში გახვეული“. აღტაცებად და გაოცებად ღირს ადგილი, სადაც მწერალი იმყოფება, თუმცა ერთი მაგიური სიტყვაც უნდა დაამატოს, რომელიც მართალია იქნება და დამაბალანსებელიც. ეს სიტყვაა „ლანძღვა“. აღტაცება და გაოცება მწერლის ემოციაა, ადგილზე აღძრული, „ლანძღვა“ კი - ის, რაც სხვაგან და სხვათაგან სმენია. მწერალი მართალია და არ იტყუება, რადგან მას ნამდვილად სმენია ამერიკის, ბროდვეის, ამერიკელების და ა.შ. ლანძღვა, ვინაიდან ეს საბჭოეთის პროპაგანდის დღის წესრიგის ნაწილი გახლდათ, ამიტომ ის გულწრფელია მკითხველთან, შესაბამისად, როგორც აღვნიშნეთ, „ლანძღვა“ ამ წინადადებაში ორმაგი დატვირთვის სიტყვაა, ერთი მხრივ, იმ განწყობას უჩვენებს, რომელსაც მწერალს ახვევდნენ თავს და მეორე მხრივ, იგი ანეიტრალებს პირად ემოციას.

ყველაფერი რომ უმაღლესი რანგისაა ბროდვეიზე, ამას „პროსტიტუციის“ ხსენებას დააბალანსებინებს მწერალი, რაც ვერაფრით იქნება „პლუს ქულის“ მიმნიჭებელი რუსეთისთვის, რადგან მსგავსი „საქმიანობა“ არც რუსთათვის იყო უცხო, ამდენად, ამ საკითხში რუსეთსა და ამერიკას შორის ერთით ერთია, ხოლო უპირატესობაში რჩება ყველაფერი დანარჩენი, რაც, ხელოვნებიდან დაწყებული, უმაღლესი რანგისაა.

ბროდვეიზე საუბრისას ასეთ მოგონებასაც ვკითხულობთ: „ისიც ვნახე, როგორ დაკლა მთვრალმა კაცმა როსკიპი ქალი, როგორ შეჰკრეს მოქალაქეებმა პირზე დუჟმომდგარი მკვლელი და როგორ ჩააბარეს პოლიციას“. კვლავ დამაბალანსებელი ორპოლუსიანი შეფასებაა სახეზე; მკვლელი და მემავი ქალი ერთეული შემთხვევაა, მათი არსებობისგან ვერც ერთი ქვეყანა ვერ იქნება დაზღვეული, მაგრამ, როგორი უნდა იყოს ზოგადად სამოქალაქო თვითშეგნება, ესეც უნახავს მწერალს და არც ეს დაუტოვებია წიგნს მიღმა. ყურადსაღებია, რომ ამგვარი სამოქალაქო თვითშეგნება საკვირველად და სამაგალითოდ დაუნახავს მწერალს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისეთი სენსიტიური და ტრაგიკული მოვლენის აღწერის შემდგომ, როგორიც მკვლელობაა, უმნიშვნელო ან ნაკლებადმნიშვნელოვან ფაქტით ვერ გააგრძელებდა თხრობას.

დემოკრატიულობა რომ განსაკუთრებული საოცრებათაგანი იქნებოდა საბჭოთა მწერლისთვის, ეს თავისთავად ცხადია, თუმცა ამდენჯერ ამისი აღნიშვნა ნამდვილად არ ჩააყენებდა სახარბიელო მდგომარეობაში მწერალს, რომ არა მხატვრული ხერხებით დეტონირება და ფასადური შენიღბვა ძირითადი სათქმელისა. მწერალი პრაქტიკულად უდიდეს რისკზე მიდის, არ ერიდება რა პოლიტიკური საკითხების შეტანასაც ტექსტში, სხვა საინტერესო ფაქტებისა და მოვლენების კვალდაკვალ, იგი აღწერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რომელიც, როგორც ამბობს, მკაცრად დაცული, გასაიდუმლოებული და შეუვალი ციხესიმაგრე ეგონა, ამ დროს კი დემოკრატიულობის

საკვირველი მაგალითი იხილა ამ ორგანიზაციის სახით: „მრგვალი მაგიდის გარშემო სხედან მთელი მსოფლიოს წარმომადგენლები, რომელიმე ქვეყნის ზედ-იღბალს წყვეტენ, ამ დროს კი გაერთიანებული ერების სხდომათა დარბაზის აივნები და ამფითეატრები სავსეა ჟურნალისტებით, ფოტორეპორტიორებით, ტურისტებითა და მოგზაურებით.

სხდომათა ერთ-ერთ დარბაზში, ზუსტად აღარ მახსოვს, მგონი, აბისინიის საკითხი ირჩეოდა. სწორედ კენჭისყრას მოვუსწარი, როდესაც წარმომადგენელთა ერთმა ნაწილმა ხელი აიწია, აივნებიდან მეც შევაშველე ხუმრობით ჩემი ხმა და ხელი ავწიე. გიდს ხმამაღლა გაეცინა.

- რა გაცინებთ? - ვკითხე.

თქვენ ახლა ამერიკის წინადადებას დაუჭირეთ მხარი, - მიპასუხა გიდმა“. ხუმრობით ხელის აწევა, რომლის თანახმადაც ამერიკის წინადადება იქნა მხარდაჭერილი, ასევე არ გვგონია მხოლოდ სახუმარო პასაჟი ნაწარმოებისა, ეს სიმბოლური აქტია, რომელიც მწერალმა განგებ არ დატოვა წიგნს მიღმა და ამასთანავე იმ გამოვლენილ განწყობათა შეჯამებაა, რომელზეც ჩვენ ზემოთაც ვსაუბრობდით. ამდენად, საბოლოოდ ამ ხელის აწევით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მწერალი როგორც ამ „ორთაბრძოლის“ პირუთენელი არბიტრი, გამოავლენს გამარჯვებულს, რასაც, ბუნებრივია, იუმორის ქარგაში ნიღბავს, თუმცა იუმორი რომ მწერლის მხრიდან მხილების იარაღად ხშირად გამოიყენება აქაც და სხვა ნარკვევების შემთხვევებშიც, ადრეც არაერთგზის აღგვინიშნავს.

დასკვნები. ამდენად, განხილული არცთუ ვრცელი დოკუმენტური ტიპის უაღრესად საინტერესო მოთხრობა - „ოდისევსის დაბრუნება“, ჩვენი შეფასებით, ძალზე ობიექტური პოზიციით დაწერილი ტექსტია, სადაც საბჭოთა კავშირის პროპაგანდა უამრავ სიცრუეშია მხილებული, რაც საკმაოდ რთული გახლდათ რეჟიმის პირობების გათვალისწინებით. ამასთანავე, მოთხრობის შინაარსის პათოსის, ისტორიული კონტექსტისა და მწერლის სხვა ნაწარმოებებთან მიმართებით განსხვავებული მხატვრული ქარგის გათვალისწინებით მივიჩნევთ, რომ კიდევ არაერთი საინტერესო საკითხია ყურადღების მიღმა დარჩენილი ამ მოთხრობაში, რასაც შემდგომი ნარკვევების სახით შევთავაზებთ მკითხველს.

გამოყენებული ლიტერატურა

ბაქრაძე, ა. (1990). *მწერლობის მოთვინიერება*. თბილისი.

დუმბაძე, ნ. (1992). *თხზულებანი ოთხ წიგნად*. წიგნი მეოთხე. თბილისი,.

ხორბალაძე, გ. (2024). იუმორით შენიღბული სარკაზმი – როგორც ტოტალიტარული რეჟიმის კრიტიკის იარაღი მხატვრულ ლიტერატურაში. *ფილოლოგიური კვლევები*. VIII.

ხორბალაძე, გ. (2022). საბჭოთა რეჟიმის სისტემურ მანკიერებათა მხილებანი ნოდარ დუმბაძის რომანში „თეთრი ბაირაღები“. *ფილოლოგიური კვლევები*. V.

REFERENCES

bakradze, a. (1990). *mts'erlobis motviniereba [Taming of the writing]*. Tbilisi.

dumbadze, n. (1992). *tkhzulebani otkh ts'ignad [Essays in Four Books]*. Book Four. Tbilisi,.

khormaladze, g. (2024). iumorit shenighbuli sark'azmi – rogorts t'ot'alit'aruli rezhimis k'rit'ik'is iaraghi mkhat'vrul lit'erat'urashi [Sarcasm Concealed with humor – As a weapon for Cricising totalian regime in fiction]. *pilologiuri k'vlevebi [Philological Researches]*. VIII.

khormaladze, g. (2022). sabch'ota rezhimis sist'emur mank'ierebata mkhilebani nodar dumbadzis romanshi „tetri bairagebi“ [The Exposure of The Systemic Vices of The Soviet Regime in Nodar Dumbadze's Novel “Tetri Bairagebi”]. *pilologiuri k'vlevebi [Philological Researches]*. V.